ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 89 (20430) — კვირა, 16 აპრილი. 1989 წელი. — ფასი 8 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მოწვევის შესახებ

„სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის ამოქმედების წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1988 წლის 1 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა 1989 წლის 25 მაისს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 14 აპრილი.

დავუბრუნოთ სიმშვიდე საქართველოს

15 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა.

აღინიშნა, რომ შრომითი კოლექტივები, მოსახლეობა უდიდესი ინტერესით ეცნობიან 14 აპრილს გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს, მასზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის გამოსვლას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მმართველ რესპუბლიკის კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი, ახალგაზრდობისადმი.

მოისმინა რა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა ინფორმაციები, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ცნობად მიიღო, რომ განვლილი დღე-ღამის მანძილზე რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში გრძელდებოდა ვითარების სტაბილიზაციის პროცესი. თბილისში ნორმალურად ფუნქციონირებდა მთელი საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ჩვეულებრივი შრომითი რიტმით მუშაობდნენ სამრეწველო საწარმოები. არ ყოფილა შეფერხებანი კომუნალური სამსახურების მუშაობაში, სასურსათო პროდუქტით ქალაქის მოსახლეობის მომარაგებაში.

ბაზგასმით აღინიშნა, რომ შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივობა სულ უფრო აქტიურად ებმებიან ქალაქში წესრიგის აღდგენისათვის ბრძოლაში.

მთელი რიგი საწარმოების შრომითმა კოლექტივებმა გამოთქვეს სურვილი იმუშაონ შაბათსა და კვირას, რათა აანაზღაურონ სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი. ამ ინიციატივას ფართოდ უჭერენ მხარს და იწონებენ.

უფრო მჭიდრო ხდება სამართალდამცავ ორგანოებთან, ჯარის ქვეგანაყოფებთან საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კონტაქტები, რომელთა მიზანია რესპუბლიკაში სიმშვიდის აღდგენა, მისი ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება.

სოფლის რაიონების მშრომელები ეწევიან საჭირო მინდვრის სამუშაოებს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ მოსახლეობა სოფლის მეურნეობის საგაზაფხულო პროდუქციით.

ამავე დროს აღინიშნა, რომ კვლავინდებურად პრაქტიკულად არ განახლებულა მეცადინეობა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სკოლებში სასწავლო პროცესის სრული ნორმალიზაცია.

მთლიანად არ არის აღკვეთილი მოხელეგნო ელემენტების ცალკეული ჯგუფების მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომლებიც აფერხებენ მდგომარეობის სტაბილიზაციის პროცესს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საჭიროდ მიიჩნია გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშობლებთან, რომლებმაც თავიანთი შვილები — სტუდენტები და მოსწავლეები — გაიყვანეს ქალაქის ფარგლებს გარეთ, რათა მოსწავლე ახალგაზრდობა უახლოეს დღეებში დაბრუნდეს თბილისში და ყველა უმაღლეს სასწავლებელში განახლდეს ნორმალური მეცადინეობა.

კომუნალური სამსახურების ხელმძღვანელი კომუნისტების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ უნდა გააქტიურონ მუშაობა ქუჩებისა და მოედნების წესრიგში მოყვანისა და კეთილმოწყობისათვის, რათა რესპუბლიკის დედაქალაქმა დაიბრუნოს მისთვის ჩვეული სახე. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ახლომახლო ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებში აქტიურად უნდა ჩაბან შესაბამისი შრომითი კოლექტივები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დაეკალთ ობიექტურად და ალალ-მართლად გააშუქონ რესპუბლიკაში სიტუაციის სტაბილიზაციის პროცესი, საზოგადოებრიობას გააცნონ არა მარტო ამ პროცესის დადებითი მხარეები, არამედ მისთვის ხელის შემლის ცდებიც, უჩვენონ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა ნამდვილი სახე, რომლებიც თავიანთი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ცდილობენ მასების დეზორგანიზებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

მოსახლეობის დაბეგვრის წესისა და ოდენობის შეცვლის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის თაობაზე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მოსახლეობის დაბეგვრის წესისა და ოდენობის შეცვლის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეიტანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, გამოქვეყნდეს გაზეთებში „იზვესტია“, „პრავდა“, „ტრუდი“, „ეკონომიჩესკაია გაზეტა“ და რესპუბლიკურ გაზეთებში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განახილოს მოსახლეობის დაბეგვრის წესისა და ოდენობის შეცვლის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის გამო წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც შემოვა საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს, შეიტანოს პროექტში საჭირო შესწორებანი და დამატებანი და 1989 წლის 1 ივნისამდე წარმოადგინოს იგი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს საბოლოოდ დამუშავებული სსრ კავშირის კანონის პროექტი დასკვნისათვის გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების შესაბამის მუდმივ კომისიებსა და კომიტეტებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 14 აპრილი.

პროექტი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

მოსახლეობის დაბეგვრის წესისა და ოდენობის შეცვლის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. გაუქმდეს საშემოსავლო გადასახადისა და სსრ კავშირის უცოლშვილოთა, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდა მუშებისაგან, მოსამსახურეებისა და დაბეგვრით მათთან გათანაბრებული მოქალაქეებისაგან, აგრეთვე საწარმოო კოოპერატივების (კოლმეურნეობების გარდა) წევრებისა და იქ შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირებისაგან, რომლებიც ძირითად სამუშაო ადგილს იღებენ ხელფასს 80 მანეთამდე ჩათვლით, და შეუმცირდეთ საშემოსავლო გადასახადისა და სსრ კავშირის უცოლშვილოთა, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადი იმ კატეგორიების მოქალაქეებს, რომელთა ხელფასი თვეში 81 მანეთიდან 100 მანეთამდეა.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ კანონის შესაბამისად დამტკიცოს შემცირებული გადასახადების განაკვეთები.

მუხლი 2. ხელფასიდან და სხვა ფულადი და ნატურალური სახელფასოდან, რომლებსაც იღებენ მუშები, მოსამსახურეები და დაბეგვრით მათთან გათანაბრებული მოქალაქეები ძირითად სამუშაო ადგილს, აგრეთვე საწარმოო კოოპერატივების (კოლმეურნეობების გარდა) წევრებისა და იქ შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირთა შემოსავლიდან თვეში 700 მანეთზე მეტი ოდენობით, საშემოსავლო გადასახადს ახდევინებენ შემდეგი ოდენობით:

თვიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
701 მანეთიდან 900 მანეთამდე	86 მან. 20 კაპ. +15 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 700 მანეთს
901 მანეთიდან 1100 მანეთამდე	116 მან. 20 კაპ. + 20 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 900 მანეთს
1101 მანეთიდან 1300 მანეთამდე	156 მან. 20 კაპ. + 30 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 1100 მანეთს
1301 მანეთიდან 1500 მანეთამდე	216 მან. 20 კაპ. + 40 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 1300 მანეთს
1501 მანეთი და მეტი	296 მან. 20 კაპ. + 50 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 1500 მანეთს

მუხლი 3. საშემოსავლო გადასახადი მუშებს, მოსამსახურეებსა და დაბეგვრით მათთან გათანაბრებულ მოქალაქეებს, რომლებიც მუშაობენ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მძიმე კლიმატური პირობების მქონე სხვა ადგილებში განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, გადახდებათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დარიცხული თანხიდან კოეფიციენტებით (რაიონული, მაღალმთიან, უდაბნო და უწყლო რაიონებში მუშაობისათვის) და აღნიშნულ ადგილებში მუშაობის სტაჟისათვის დანამატების თანხიდან განაკვეთით 13 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 4. ფულადი და ნატურალური სახელფასო, რომელიც აღემატება თვეში 700 მანეთს და რომელსაც მოქალაქეები იღებენ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან არა მათ ძირითად სამუშაო ადგილს, იბეგრება საშემოსავლო გადასახადით ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული განაკვეთებით.

მუხლი 5. სსრ კავშირის ტერიტორიაზე მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების გამოცემის, შესრულებისა ან სხვაგვარი გამოყენებისათვის მიღებული საავტორო სახელფასოს თანხიდან, რომელიც აღემატება წელიწადში 1200 მანეთს, საშემოსავლო გადასახადი უნდა გადაახდევინონ შემდეგი ოდენობით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
1201 მანეთიდან 8400 მანეთამდე	89 მან. 40 კაპ. + 13 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 1200 მანეთს
8401 მანეთიდან 10800 მანეთამდე	1035 მან. 40 კაპ. + 15 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 8400 მანეთს
10801 მანეთიდან 13200 მანეთამდე	1394 მან. 40 კაპ. + 20 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 10800 მანეთს
13201 მანეთიდან 15600 მანეთამდე	1874 მან. 40 კაპ. + 30 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 13200 მანეთს
15601 მანეთიდან 18000 მანეთამდე	2594 მან. 40 კაპ. + 40 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 15600 მანეთს
18001 მანეთი და მეტი	3554 მან. 40 კაპ. + 15 პროცენტი თანხისა, რომელიც აღემატება 18000 მანეთს

ამავე განაკვეთებით ახდევინებენ საშემოსავლო გადასახადს ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა სხვა შემოსავლიდან, გარდა ძირითად სამუშაო ადგილზე მიღებული ხელფასისა, აგრეთვე იმ მოქალაქეთა შემოსავლიდან, რომლებიც არ არიან შემოქმედებითი კავშირების წევრები და ყიდიან სსრ კავშირის ტერიტორიაზე ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და სხვა სახეობათა ორიგინალურ ნაწარმოებებს და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობებს სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სპეციალურად მოწყობილი გამოფენა-ვაჭრობის მეშვეობით.

წლის განმავლობაში აღნიშნული შემოსავლის გადასახადს გამოითვლიან და დაუკავებენ უშუალოდ იმ ადგილზე, სადაც საზღაურს იხდიან. საზღაურის ყოველი მომდევნო გაცემის დროს ხდება გადასახადის გადაანგარიშება მიმდინარე წლის საზღაურის საერთო თანხის მიხედვით გაცემის ადგილას.

წლის გასვლის შემდეგ მოქალაქენი მოვალენი არიან ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საფინანსო ორგანოს თავიანთი საცხოვრებელ ადგილს დეკლარაცია მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებების გამოცემის, შესრულებისა ან სხვაგვარი გამოყენების შედეგად წლის მანძილზე ფაქტობრივად მიღებული შემოსავლის შესახებ.

დეკლარაციაში აღნიშნული მონაცემების საფუძველზე წარმონებს გადასახადის თანხების გადაანგარიშება ერთობლივი წლიური შემოსავლის მიხედვით.

მუხლი 6. წლის განმავლობაში სახელშეკრულებო სამუშაოთა შესრულების შედეგებით ან მუშაობის შედეგებით საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქალაქეებთან ანგარიშსწორების დროს დაბეგვრის მიზნებისათვის მიღებული შემოსავლის თანხები ნაწილდება თვეების მიხედვით თითოეული მუშაკის ფაქტობრივად ნამუშევარი დროის მიხედვით. გადასახადის გამოანგარიშებისას კოოპერატივის ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული კოოპერატივის წევრთა შემოსავალი მის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით თვეების მიხედვით განაწილებას არ ექვემდებარება.

მუხლი 7. მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შემოსავლის შემადგენლობაში შედის:

1) საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან ნივთობრივი პრემიების (საჩუქრების) ღირებულების თანხა, რომელიც აღემატება 100 მანეთს წელიწადში;

2) იმ მატერიალური დახმარების თანხა, რომელსაც იხდიან საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები წელიწადში 500 მანეთზე მეტი ოდენობით, იმ შემთხვევების გარდა, როცა ასეთი დახმარება ეწევა სტიქიურ უბედურებასთან, სხვა საგანგებო გარემოებებთან დაკავშირებით და სხვა შემთხვევებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 8. ყველა სახეობის პრემიები და გასამრჯელოები იბეგრება საშემოსავლო გადასახადით იმ თვის ხელფასთან ერთად, როცა ისინი გაიცემა.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება ლენინური პრემიები, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების პრემიები, აგრეთვე ლენინური კომკავშირის პრემიები.

მუხლი 9. აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებისა და სამრეწველო ნიმუშისათვის გასამრჯელო იბეგრება გადასახადით ამ კანონის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს 1000 მანეთამდე აღნიშნული გასამრჯელოს თანხის საშემოსავლო გადასახადის შეღავათი.

მუხლი 10. მუშებს, მოსამსახურეებსა და დაბეგვრით მათთან გათანაბრებულ მოქალაქეებს, აგრეთვე საწარმოო კოოპერატივების (კოლმეურნეობების გარდა) წევრებსა და იქ შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირებს, რომლებსაც ქმაყოფაზე ჰყავთ ოთხი და მეტი კაცი, ძირითად სამუშაო ადგილზე საშემოსავლო გადასახადის ოდენობა უმცირდებთ 30 პროცენტით.

მუხლი 11. თანხა, რომელსაც უხდიან სსრ კავშირის მოქალაქეებს მათ მიერ სახალხო დეპუტატთა მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან.

მუხლი 12. განაკვეთები წოდებებისათვის, რომლებიც ეძლევათ აკადემიების ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს, იბეგრება საშემოსავლო გადასახადით ცალკე მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის დაბეგვრისათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით.

ეწვივნენ მეტალურგიულ ქარხანას

გუშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. ა. შევარდნაძე, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე რუსთავში ჩავიდნენ და ეწვივნენ აქაურ მეტალურგიულ ქარხანას, სადაც შეხვდნენ მშრომელთა კოლექტივს.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპედიციის „ბერინგის ხიდის“ მონაწილეებს

გულითადად მოგესალმებით თქვენ, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპედიციის მონაწილეებს.

მისი სახელწოდება — „ბერინგის ხიდი“, ვფიქრობ, მარტო სიმბოლო არ არის. თქვენ საქმით უწყობთ ხელს ჩუკოტკასა და ალასკას შორის, ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის, თანამშრომლობის ხიდის გადებას.

ჩვენ გვაერთიანებს საერთო პრობლემები — შევინარჩუნოთ ჩრდილოეთის ხალხთა კულტურები, არქტიკის ბუნება, და რაც მთავარია—განვამტკიცოთ ქვეყნად მშვიდობა.

გისურვებთ ექსპედიციის პროგრამის წარმატებულ განხორციელებას.

მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. იაკეშის სამუშაო ვიზიტის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **მ. იაკეში** უახლოეს დღეებში სამუშაო ვიზიტად ეწვევა სსრ კავშირს.

აღვადგინოთ შრომითი ცხოვრების რიტმი!

ჩვენი ძალა თანხმობაშია

მსუბუქ მრეწველობას ამაოდ როდი უწოდებენ ყველასა და თითოეულის იხდუსტრიას. იგი მუშაობს უშუალოდ ადამიანისათვის, მისი საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. და ჩვენ პასუხს ვაგებთ იმისათვის, რომ არ იყოს შეფერხებები მოსახლეობის მასობრივი მოთხოვნის საქონლით მომარაგებაში. სწორედ ამიტომ მიუღებელი იყო ჩვენთვის ლოზუნგები, რომლებიც მოგვწოდებდნენ გავფიცულიყავით, უარი გვეთქვა შრომის ჩვეულ რიტმზე. ასეთ მოწოდებებს ხომ შეეძლოთ გამოეწვიათ რესპუბლიკაში რღვევა, სიძნელეები მილიონობით ადამიანის ყველაზე საჭირო საქონლით უზრუნველყოფაში.

სისტემაში ამჟამად დაახლოებით 60 დიდი საწარმო და გაერთიანებაა. დაზგებთან და ტექნოლოგიურ ხაზებთან შრომობს 62 ათასი კაცი. დღეს შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანი დარჩა ერთგული თავისი მოქალაქეობრივი და პროფესიული მოვალეობისა. მაგრამ იყო გამონაკლისიც. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ და ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის“, ზოგიერთი სხვა საწარმოს შრომითი კოლექტივები აპყვნენ პროვოკაციულ მოწოდებებს, ჩაშალეს მუშაობის გრაფიკი. ამჟამად ვითარება აქაც სტაბილური ხდება. საქართველოს კომუნისტების, მშრომელებისადმი მ. ს. გორბაჩოვის მიმართვის გულთბილმა, წრფელმა სიტყვებმა შთააგონა ისინი გადაესინჯათ თავიანთი პოზიცია, სხვაგვარად შეეფასებინათ მომხდარი ამბები. გადაწყვეტილია, რომ ჩამორჩენა დაძლიონ სამუშაოზე შაბათსა და კვირა დღეებში, მეორე და მესამე ცვლებში სამუშაოზე გასვლით. ტრაგიკული მოვლენების სასტიკი გაკვეთილი დაგვეხმარა ყველას კიდევ უფრო ღრმად შეგვეგნო, რომ ჩვენი ძალა მხოლოდ თანხმობაშია, შეუპოვარ აღმშენებლობით შრომაშია.

იური გოგოლაძე,
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე.

სტაბილური გავხადოთ ვითარება

რუსთავი. ამ სეზონისათვის ნებისმიერ ხორაგს სთავაზობენ მყიდველს ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში. შეუფერხებლად მიაქვთ მალაზიებში პური და პირველი საჭიროების სხვა საქონელი. მუშაობს ქალაქის სოციალური სფეროს ყველა ობიექტი, შეუფერხებლად მიმდინარეობს სწავლა სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ და სხვა სასწავლებლებში. რიტმულად უშვებს პროდუქციას ყველა სამრეწველო და სამშენებლო საწარმო.

ყოველივე ეს არის შედეგი კომუნისტების, იდეოლოგიური აქტივის ყოველდღიური და გულმოდგინე საქმიანობისა იმ სიტუაციის განმარტების მიზნით, რომელიც ტრაგიკულად დამთავრდა რესპუბლიკის დედაქალაქში. შეხვედრებისა და საუბრების, გულღია და გულახდილი დიალოგებისა და დისკუსიების ადგილები გახდა არა მარტო სასწავლო აუდიტორიები და შრომითი კოლექტივების წითელი კუთხეები, არამედ ქუჩები, ეზოები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები, ყველგან, სადაც იკრიბებიან ადამიანები, რომლებსაც სურთ მშვიდად და საფუძვლიანად გაერკვნენ ყველაფერში. გონება თანდათანობით იმარჯვებს ემოციებზე. ის უკვე რწმენაა, რომლითაც გამსჭვალულია მ. ს. გორბაჩოვის მიმართვა საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელისადმი. ამ მიმართვამ გამოიწვია დიდი ყურადღება და მადლიერების გრძნობა ძნელბედობის ჟამს მხარდაჭერისათვის.

გაიმართა საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს პოლიტიკური ვითარება რესპუბლიკასა და ქალაქში, დასახეს მისი სტაბილიზაციის, მოსწავლე ახალგაზრდობასა და შრომითს კოლექტივებს შორის იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების ამოცანები.

ამ ტრაგიკულ და გლოვის დღეებში ჩვენ, არაქართული ეროვნების წარმომადგენლები, მტკიცედ ვაცხადებთ: ცრუობენ ისინი, ვინც ამბობს თითქოს საქართველოში ოღოცენებულიყოს ანტირუსული განწყობილება. ეს არც ყოფილა და არც არის! ვიღაც-ვიღაცეები ფერცელებენ ცილისმწამებლურ ხმებს საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ. ვიღაცეებს იქნებ მართლაც სურთ გრძელდებოდეს კრიზისული მდგომარეობა, შეღლი ჩამოგდონ ეროვნებათა შორის, მაგრამ ხალხის დიდი უმრავლესობა ამას აღშფოთებით გმობს.

საქართველო მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით გვიჩვენებს ჭეშმარიტ სტუმართმოყვარობას. მსოფლიოს ვერც ერთი ხალხი ვერ დაიკვეხნის, იმდენ ეროვნებას შეეფარებინოს თავი ერთ მუჭა მიწაზე, რამდენიც ქართველმა ხალხმა შეიფარა, გაუზიარა მიწა, ჭერი. ზოგიერთი ჩვენგანი — შერეული ქორწინების შვილები, აქ გავჩნდით, ზოგნი ახლახან ჩამოვიდნენ, მაგრამ ჩვენ სიამაყით ვაცხადებთ, რომ ვართ საქართველოს ხუვერენული რესპუბლიკის მოქალაქენი, და ყველაფერსაც ვიღონებთ იმისათვის, რომ მალე გამოვიდეთ ამ კრიზისიდან.

ჩვენ მივმართავთ ყველა მოქალაქეს, ყველა ეროვნების შვილს მოწოდებით: შევმჭიდროვდეთ, რათა შევუმსუბუქოთ ქართველ ხალხს თავს დატეხილი უბედურება. ჩვენ ერთად ვგლოვობთ.

ვუსურვებთ რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელობას, მშრომელებს, რომ ამიერიდან არასოდეს დაღვრილიყოს სისხლი. ეს კურთხეული მიწა იმსახურებს მშვიდობას და მყუდროებას.

მარადიული ხსოვნა უდანაშაულო მსხვერპლთ!

ქართველ ხალხთან ერთად

ვ. დომენიჩოვსკი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი; ი. რობიტშანი, ი. კოვალიოვი, ჟ. გურვიჩი — ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლები; ო. ბუდინი — ამავე ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომელი; ბ. კრეიმეცი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელი.

ღამის პატრულთან ერთად

თბილისის ქუჩებში ღამით ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან ერთად, რომლებიც თვალყურს ადევნებენ კომენდანტის საათის დაცვას, გამოჩნდნენ სამოქალაქო ტახსაცმლიანი ადამიანები. ესენი არიან ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და აქ მცხოვრები თადარიგის მეომრები, რომლებმაც მოიხადეს ინტერნაციონალური ვალი ავღანეთში.

ინტერნაციონალისტებმა გამოთქვეს სურვილი ხელი შეუწყონ კომენდანტის საათის პირობებში კონფლიქტური სიტუაციების აღკვეთას. სამხედრო კომენდანტის სამმართველომ ხალისით მიიღო ეს წინადადება, დაუთმო მათ ოთახები, უზრუნველყო სპეცსაშვებით, ტრანსპორტითა და სატელეფონო კავშირით, გამოყო სამხედრო კომკავშირული მუშაკები, მისცა შესაბამისი ინსტრუქციები პატრულებს. ოფიცერთა საოლქო სახლში 13 აპრილს საღამოს შეიქმნა „ავღანელთა“ საქალაქო, ხოლო საკომენდანტო უბნებში — რაიონული შტაბები.

დღისით საქალაქო შტაბში ხალხმრავლობაა — მოდიან არა მარტო ავღანეთში ნამსახურები, არამედ თადარიგის სხვა მეომრებიც, ყველა, ვისაც სურს რაც შეიძლება მალე მოგვარდეს ვითარება თბილისში. მსჯელობენ, როგორ უნდა იმოქმედონ, უპასუხებენ და რეგირებენ. უამრავ ტელეფონის ზარზე. წინა დღით ინტერნაციონალისტი მეომრების წარმომადგენლები გამოვიდნენ რესპუბლიკის ტელევიზიით, გაგვაცნეს თავიანთი გადაწყვეტილება, გვაცნობეს ტელეფონის ნომრები, რომლებითაც შეიძლება მივაწოდოთ მათ ინფორმაცია კანონიერების დარღვევის ფაქტების, სამხედრო მოსამსახურეთა და ქალაქელთა შორის კონფლიქტური სიტუაციების შესახებ.

14 აპრილს საღამოს, როცა კომენდანტის საათი დგებოდა, საქალაქო შტაბში დარჩა ოცამდე კაცი, დანარჩენები გაემართნენ სამხედრო საგუშაგოებში. შტაბში დღე-ღამის მორიგეობის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე წავიდა შინ.

— წავიდნენ ახალგაზრდებიც, რომლებიც სახალხო ფრონტის წარმომადგენლებად გაგვეცნენ, — ამბობს კოტე ბაგმეიერი, ტელევიზიით ერთ-ერთი გამომსვლელი, — ჩვენ, „ავღანელები“, ქალაქში შვიდას კაცამდე ვართ. მათმა უმრავლესობამ გამოთქვა სურვილი ხელი შეუწყონ ქალაქში წესრიგის დაცვას, რათა რაც შეიძლება მალე გაუქმდეს კომენდანტის საათი. ამიერიდან რაიონულ შტაბებსა და საგუშაგოებში მორიგეობა დღისითაც გრძელდება. და თუ შევძელით აღვკვეთოთ თუნდაც ერთი ცოხფლიქტი, ჩავთვლით, რომ ჩვენი წვლილი შევიტანეთ თბილისში ვითარების ნორმალიზაციაში.

...ღამის თორმეტი საათისათვის მასთან და მის ამხანაგთან, მალხაზ ლომიძესთან, ერთად გავდივართ ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, მორიგი ტელეფონის ზარზე. იქიდან გვაცნობეს, რომ საგალ ნაწილზე წევს კაცი.

ვპოულობთ საჭირო სახლს. ქალები გვიჩვენებენ ბინას, სადაც ქუჩიდან მიიყვანეს კაცი.

...დივანზე წევს გალეშილი ახალგაზრდა კაცი. მასპინძლები გვიხსნიან, რომ იგი ძლივს იდგა ფეხზე, როცა მოიყვანეს აქ, რათა არ მომხდარიყო კონფლიქტი პატრულთან. რას იზამ, თბილისელები თბილისელებად რჩებიან. არ მიატოვეს კაცი, რომელსაც შეიძლებოდა თვითონაც მოსვლოდა უსიამოვნება და სიტუაციაც გაერთულებინა მიკრორაიონში.

ვბრუნდებით „ავღანელთა“ შტაბში, სადაც საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი — გია ჯაყელი მორიგეობს ტელეფონთან. იგი გულისტკივილით ამბობს, რომ, სამწუხაროდ, ახლაც არიან „ხუმრები“, რომლებიც ყალბ ცნობებს გადმოგვცემენ. სამხედრო კომკავშირულ მუშაკთან კაპიტან ანდრია რებგუნთან ერთად გია წავიდა იმ ცნობის შესამოწმებლად, რომ ვარკეთილის საცხოვრებელ მასივში დაჭრეს ორი ბავშვი, რომლებიც შემდეგ პირველ საქალაქო საავადმყოფოში გაგზავნეს. იყვნენ ადგილზე, დარეკეს ქალაქის ყველა საავადმყოფოში, და ყველაფერი მონაჩმახი აღმოჩნდა, ისევე როგორც ცნობები, თითქოს ხილაინის ქუჩაზე საბრძოლო მანქანიდან აეტეხოთ სროლა, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე კი ჯარისკაცები ჭაჭას სვამდნენ.

ყოველ წუთს გაისმის ზარი, მაგრამ ახლა უკვე ყველა ცნობა როდი შეაქვთ სქელ სარეგისტრაციო დავთარში. ხომ არის ისეთებიც, რომ... ჩიგიან, ელექტროენერგია გამოგვირთეს.

—რისთვის არის ეს საჭირო? — უკვირს გ. ჯაყელს. — ჩვენ ხომ გვინდა დავეხმაროთ ადამიანებს და უკვე გავაკეთეთ ეს, როცა შესაბამის ინსტანციებს გადავეცით ცნობები და კომენდანტის საათის დროს დაკავებული რამდენიმე კაცი მშვიდობიანად მივიდა შინ, ხოლო „სასწრაფო დახმარების“ ავტომანქანებს მიეცათ შესაძლებლობა სწრაფად გაევლოთ რამდენიმე საგუშაგო. და ბოლოს, როცა ლენინის რაიონის ავად გამხდარი მცხოვრების რევაზ სარიჩელის ვაჟი ვერაფრით ვერ დაუკავშირდა „სასწრაფო დახმარებას“ და უსაშველო მანქანით გაემგზავრა „სასწრაფო დახმარების“ მოსაყვანად. ჩვენ მოგვმართეს მეზობლებმა, გადავეცით შონაცემები მედიკოსებს და ამავე დროს გავაფრთხილეთ საგუშაგო, რომ ახალგაზრდა კაცი გაეგზავნათ შინ. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. დავადგინეთ ჯავშნიანი მანქანის ნომერიც, რომელიც მოსახვევში მოცურდა. როცა მძღოლმა დიდი სიჩქარის გამო ვერ დაიმორჩილა საჭე. მან გაარღვია ბორდიური, ღობე და გაჩერდა საცხოვრებელი სახლიდან რამდენიმე მეტრზე. ერთხელ კიდევ მივმართავ თბილისელებს: ჩვენ გვინდა დავეხმაროთ ადამიანებს. კომენდანტის საათი იძულებითი ღონისძიებაა და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად მალე გაუქმდება.

სამხედრო კომენდანტის ცნობა

სამხედრო კომენდანტის სამმართველო გაცნობებთ, რომ განვლილი დღე-ღამის მანძილზე (14 აპრილის 9 საათიდან 15 აპრილის 9 საათამდე) საქართველოს სსრ რესპუბლიკის დედაქალაქში ვითარებას აკონტროლებდნენ პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები, ჯარები და საზოგადოებრიობა, და იგი არსებითად არ შეცვლილა. სამრეწველო საწარმოები, დაწესებულებები, ტრანსპორტი ძირითადად შეუფერხებლად მუშაობდნენ. მოსახლეობა ჭკვიანდებურად საკმარისი რაოდენობით მარაგდებოდა სურსათით.

ამავე დროს ნორმალური მეცადინეობა არ დაწყებულა უმაღლეს სასწავლებლებში. მთელ რიგ საშუალო სკოლებში მოსწავლეთა შორის ამწვავებდნენ დაძაბულობის ატმოსფეროს. არის შემთხვევები, როცა ამგვარი მოქმედების ინიციატორები ხდებიან მოსწავლეები.

ქალაქში არ წყდება ზეპირი და ფურცლების საშუალებით მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა, აგრეთვე ცალკეული აგრესიულად განწყობილი პირების ხულიგნური მოქმედება. მაგალითად, ღამით იყო ცალკეული ცდები ბოთლები და ქვები დაშინაპ სამხედრო ტექნიკისათვის.

ვნანელილ დღე-ღამეში კომენდანტის საათის მოქმედების დროს დააკავეს და შინაგან საქმეთა ორგანოებს გადასცეს 172 კაცი, დაკავებულია 36 ავტომანქანა, ჩამორთმეულია 31 ერთეული ცივი იარაღი.

ტრაგიკული ამბების მსხვერპლთა დაკრძალვა

15 აპრილს ათასობით თბილისელმა გააცილა უკანასკნელ გზაზე 9 აპრილს მთავრობის სახლთან მოედანზე მომხდარი ტრაგიკული ამბების დროს ზოგიერთი დაღუპული.

დაკრძალვის ცერემონიები გაიმართა ვაკის, საბურთალოს, კუკიის, მუხათგვერდის, დიღმის, თბილისის ზღვისა და ავლაბრის სასაფლაოებზე.

დაკრძალვის დროს მოეწყო სამგლოვიარო მიტინგები.

საჭიროა თავშეკავება და სიმშვიდე

ახლა ჩემი ყველაზე დიდი სურვილია ის, რომ ხალხმა ვაჟკაცურად გადაიტანოს 9 აპრილს მომხდარი ამბის ტკივილი. იმ დღეს ამ ამბავმა ყველას მოგვიკლა გული. მინდერად შეჩერდა სათესი ტექნიკა, შეწყდა მუშაობა სარეინტო სახელოსნოებში — ადამიანები, რომლებიც ვერ იკავებდნენ გრძნობებს, ერთმანეთს უზიარებდნენ აზრებს, განიხილავდნენ თბილისში მომხდარ ამბებს. ფხიზლად უნდა შეგაფასოთ შექმნილი ვითარება, გამოვიჩინოთ თავშეკავება და სიმშვიდე, რადგან, როგორც მ. ს. გორბაჩოვი აღნიშნავს თავის მიმართვაში საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელისადმი, მათ ინტერესებს საერთო არა აქვთ რა ცდებთან დაარღვიონ ჩვენი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა, მოსპონ სოციალისტური წყობილება რესპუბლიკაში, გადაჩეხონ იგი ეროვნული შუღლის მორევში.

დღეს მიწათმოქმედთა უპირველესი ვალია მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავლის მოსავალს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, უზრუნველვყოფთ მათთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეუფერხებელ, დიდმწარმოებლურ მუშაობას.

გიორგი ჟილავაშვილი,
გურჯაანის მანქანა-ტრაქტორების პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს ტექნიკოს-შეკანონიზატორი.

ძნელი სიტუაცია

ამჟამად ძალზე საჭირო დავაცაროთ ემოციები. მათ ადგილი უნდა დაუთმონ კეთილგონიერებას, მოთმინებას, თავშეკავებას, შორსმჭვრეტელობას, სიბრძნეს. ყოველმა თბილისელმა, ყოველმა მოქალაქემ, სადაც უნდა შრომობდეს იგი — დაზგასთან თუ სამშენებლო მოედანზე, აუდიტორიაში თუ სკოლის მერხთან, სცენაზე თუ გადასაღებ მოედანზე — უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ შინაგან დისციპლინასა და ორგანიზებულობას შეუძლია რაც შეიძლება მალე მოხსნას კომენდანტის საათი. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მოვაახლოვოს ის საათი, როცა თბილისი, როგორც წინათ, დაიწყებს სისხლსავსე ცხოვრებას.

მაშ მოდით, ყველამ ერთად მოვაახლოვოთ ეს საათი, ყურად ვიღოთ გონების ხმა, დაეუბრუნოთ ჩვენს ქალაქს მისი წინანდელი იერ-სახე. ამას მოგვიწოდებს მ. ს. გორბაჩოვი თავის მიმართვაში. ყურად უნდა ვიღოთ ეს ხმა.

ჯემალ სიხარულიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მსახიობი.

უცნაური დამთხვევები

ჯერ დინჯი ანალიზის საშუალებას არც უსაზღვრო წუხილი და არც აფორიაქებული გონება გვაძლევს. და მაინც...

რა უცნაური დამთხვევაა — მ. გორბაჩოვის გამგზავრება უცხოეთში და დასავლეთგერმანელი მოყვარული პილოტის „იდილიური“ შემოფრენა წითელ მოედანზე. კიდევ ერთი ვიზიტი და ნინა ანდრეევას სტალინისტური პოლიტიკური პლატფორმის გამოქვეყნება ცენტრალურ გაზეთში. გენერალური მდივნის პატივით მიღება დიდ ბრიტანეთში და უპრეცედენტო კაცისკვლა თბილისში.

ვის, რა ძალებს აძლევდა ხელს ნაციონალისტური შუღლის გაღვივება სომხეთსა და აზერბაიჯანში და შემდეგ მთის დედაქალაქებში კომენდანტის საათის დაწესება? რა უცნაურად ემთხვევა მიწისძვრის შემდეგ პოლიტიკური კრიზისის ჩაცხრობა სომხეთში, ახალი დაძაბულობის კერის შექმნას აფხაზეთში. რაიმე დიდ პოლიტიკურ შორსმიმავალ მიზანს ხომ არ ისახავდა ვითარების უკიდურესად გამძაფრება თბილისში? და ისევ კომენდანტის საათი!

გარდაქმნის პოლიტიკას რომ ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავს ჩვენს ქვეყანაში, ეს ყველამ კარგად იცის. სწორედ მათკენ ხომ არ მივყავართ ამ უცნაურ დამთხვევებს? და ბოლოს ასეთი შეკითხვა, ამჯერად მთავარი: სად ვდგავართ ჩვენ, ვის და რას ვემხრობით? გარდაქმნას, რომელიც ერთადერთი შანსია უკეთესობისაკენ, თუ მის მოწინააღმდეგე ბასრი ნიჩბებით შეიარაღებულ მანქურტებს?

მესამე გზა არ არსებობს.

ზურაბ აბაშიძე,
უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ლენინგრადელთა სიტყვა

ლენინგრადის მეცნიერმა და შემოქმედმა ინტელიგენციამ, მშრომელებმა, რომლებსაც შუდამ ძმური და გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდათ ქართველ ხალხთან, შეშფოთებით შეიტყვეს თბილისში მომხდარი ტრაგიკული ამბები. უდიდესი გულისტკივილი გამოიწვია ადამიანთა დაღუპვის ცნობამ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი უპასუხისმგებლო პირთა ჯგუფის უკანონო მოქმედების მსხვერპლი გახდნენ. ისინი, ვინც თამამობს ახალგაზრ დ ო ბ ი ს გრძნობებზე, სიბეჯითა მრავალეროვანი სამშობლოსაგან საქართველოს ტამოყოფისათვის მოუწოდებს, გაკიცხვის ღირსნი არიან.

თამარ მეფისა და სანკტ-პეტერბურგის დამაარსებლის პეტრე პირველის გამგებლობის საუკუნეებში აქვს გადგმული ფესვები ჩვენს მეგობრობას. ჩვენ, ლენინგრადელებს, ვერ წარმოგვიდგენია მრავალეროვანი სოციალისტური კავშირის არსებობა საქართველოს ამაყი, ვაჟკაცი და გამრჯე ხალხის გარეშე. საქართველოს გენიალური შვილი, პოეტი და განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე, რომელიც ჭაბუკობის წლებში ნევისპირა ქალაქში ცხოვრობდა და სწავლობდა, წერდა: „რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზეა“.

„არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“. ჩვენ ლენინგრადში მუდამ გვახსოვს, რომ ხვენი თავისუფლებისათვის იბრძოდნენ და დადეს თავი საქართველოს საუკეთესო შვილებმა, მოყოლებული დეკაბრისტებით, ნაროდოვოლცებით, ბოლშევიკ-ლენინელებითა და ბლოკადაში მოქცეული ქალაქის მეომარ-დამცველებით.

დიდმა შოთა რუსთაველმა თქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო!“. მანვე გვიანდერძა: „სიყვარული აღგვამაღლებსო“. თქვენდამი, თქვენი ისტორის, კულტურის, ეროვნული ტრადიციების სიყვარული გამოვლინდა ამითაც, რომ ჩვენს ქალაქში შექმნილია შოთა რუსთაველის სახელობის საზოგადოება, რომელიც უკვე პროპაგანდას უწევს რუსეთ-საქართველოს ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობას.

ჩვენი აზრით, ქართველო მეგობრებო, ჩვენს მარადიულ მეგობრობას მაგარი ფესვები აქვს და ვერაფერი ტრაგიკული და მტრული ვერ შებღალავს. სიკეთის, სიყვარულისა და მეგობრობის სიტყვას შეისმენს თქვენი გონება და გული.

ბ. ბ. პიოტროვსკი — ერმიტაჟის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი; ბ. ა. ტოსტონოგოვი — ლენინგრადის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; ი. ბ. ლეიბეროვი — საკავშირო პროფსაბჭოს კულტურის უმაღლესი პროფკავშირული სკოლის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; თ. ვ. შერაკე — ლენინგრადის პასტერის სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; ე. ნ. მორიაკოვი — მუშა, სოციალისტური შრომის გმირი; ი. ვ. ლეზგიშვილი — ლენინგრადის შოთა რუსთაველის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე, რეჟისორი.

ფელიქს კრიმსკის („კომუნისტი“) ფოტო.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის

ცნობა

1989 წლის 2 და 9 აპრილს ხელახალი კენჭისყრის დროს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგების შესახებ

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმები ხელახალი კენჭისყრის დროს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგების შესახებ, ცენტრალური საარჩევნო კომისია იუწყება:

„სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად 1989 წლის 2 და 9 აპრილს გაიმართა ხელახალი კენჭისყრა 46 ტერიტორიულ და 30 ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში. ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 13591170 კაცი, კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 125 999 ამომრჩეველი, ანუ 74,5 პროცენტი. აღნიშნულ ოლქებში ხელახალი კენჭისყრის შედეგად არჩეულია სსრ კავშირის 76 სახალხო დეპუტატი.

საოლქო საარჩევნო კომისიების ინფორმაციები თითოეულ ტერიტორიულ და ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში ხელახალი კენჭისყრის შედეგების შესახებ გამოქვეყნებულია ადგილობრივ პრესაში.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

14 აპრილს მოსკოვში, კავშირების სახლში, გაიმართა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. შეაჯამეს 2 და 9 აპრილს ხელახალი კენჭისყრის დროს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგები. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ვ. პ. ორლოვმა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიათა მიერ წარმოდგენილი ოქმები, რეგისტრაციაში გაატარა 46 სახალხო დეპუტატი, რომლებიც აირჩიეს ხელახალი კენჭისყრის დროს ტერიტორიულ ოლქებში, და 30 სახალხო დეპუტატი, რომლებიც არჩეული არიან ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქებში.

ცნობა ხელახალი კენჭისყრის დროს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგების შესახებ პრესაში ქვეყნდება.

ცალკეული საოლქო საარჩევნო კომისიების თხოვნის გათვალისწინებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 21 აპრილამდე გააგრძელა 1989 წლის 14 მაისისათვის დანიშნული ხელახალი არჩევნების დროს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა.

კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. লুკიანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი.

(საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამართლებრივი პოლიტიკის საკითხთა კომისიის სხდომა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. მ. ჩებრიკოვის თავმჯდომარეობით 14 აპრილს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამართლებრივი პოლიტიკის საკითხთა კომისიის მორიგი სხდომა.

კომისიამ განიხილა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მითითებათა შესაბამისად შემუშავებული სასამართლო რეფორმის კონცეფცია და იმსჯელა მისი განხორციელების პრაქტიკულ ნაბიჯებზე. აზრთა გაზიარების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სასამართლო რეფორმა ქვეყანაში პოლიტიკური სისტემის ღრმა რეორგანიზაციის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ნამდვილად სამართლებრივი სოციალისტური სახელმწიფოსაკენ ჩვენი საზოგადოების წინსვლის გზაზე.

მისი ძირითადი მიზანია სასამართლოს, როგორც კანონიერებისა და მართლწესრიგის, საბჭოთა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების სომდოდ დაცვის, ყველა ორგანიზაციის, თანამდებობის პირებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ კანონის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების გარანტის როლის მნიშვნელოვანი ზრდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისია დაეთანხმა ძირითადად წინადადებებს, რომელთა მიზანია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტის განმტკიცება, და, მათ შორის მართლმსაჯულებაში ჩარევის ცდებისათვის, სასამართლოსადმი უპატივცემლობის გამოვლენისათვის მკაცრი პასუხისმგებლობის შემოღება.

აღინიშნა, რომ სასამართლო პროცესს მკაცრად უნდა დაედოს საფუძვლად შეჯიბრებითობა, დაცვისა და ბრალდების უფლებათა თანასწორობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპები.

მთლიანად მოიწონეს აგრეთვე დასახული ღონისძიებანი სასამართლო საქმიანობის რაციონალიზაციისათვის, კერძოდ ზოგიერთი კატეგორიის საქმეების გამო საქმის წარმოების გამარტივებისა და მოსამართლის ერთპიროვნული განხილვისათვის მთელი რიგი სამოქალაქო დავების დამატებითი გადაცემის ხარჯზე.

საყურადღებოდ მიიჩნიეს წინადადებანი, რომ გაფართოვდეს საკასაციო და საზედამხედველო სასამართლო ინსტანციების უფლებები, უფრო ფართოდ, ვიდრე დღეს, მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრიბამ სასამართლო გარჩევაში, აგრეთვე შემოღებულ იქნეს მოსამართლეთა ადმინისტრაციულ საქმეთა და საალსრულებლო წარმოების ინსტიტუტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიამ მხარი დაუჭირა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს და სსრ კავშირის პროკურატურის წინადადებებს მართლმსაჯულების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სხვა მომწიფებული პრობლემების გადაჭრის შესახებ. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ საჭიროა მოწესრიგდეს სახელმწიფო ბაჟების ოდენობა, რომლებიც დაწესებული იყო 45 წლის წინათ და ამჟამად უკვე ვეღარ ანაზღაურებს რეალურ სასამართლო და სანოტარო ხარჯებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიის შემადგენლობაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის, სამართალდარღვევების სოციალური პროფილაქტიკისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების, მართლწესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის როლის ზრდის პრობლემებზე, აგრეთვე კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ სსრ კავშირის კანონის მომზადებასა და საბჭოთა კანონმდებლობის რეფორმის გატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სხდომაზე გამოვიდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგე ა. ს. პავლოვი, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ბ. ტარასოვი, უკრაინის კომპარტიის ხარკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მისნიჩენკო, მინსკის დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშტამპავი მეიდელი ე. ა. შულიაკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიის წევრი ვ. ი. ტერებილოვი, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. მახკამოვი, უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნ. გირენკო, ივანოვოს საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ი. სემენკო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკა-პრეზიდენტი, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ა. ა. ლოგუნოვი, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მ. ლებედევი, სსრ კ

ყველაზე მთავარი საწყაო

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ბალინა სარიბაშვილს ესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზოთა ნადირაშვილი.

კორესპონდენტი: ჩემი წინადადებაა ჩვენი დღევანდელი საუბარი მივუძღვნათ „ყველაზე მთავარ საწყაოს“, როგორც ანტიკური ფილოსოფოსები იტყოდნენ, — ადამიანს. ამ ბოლო წლებში ადამიანის შესწავლის პრობლემამ ხომ მკვეთრად წამოიწია წინა პლანზე. მოსკოვში სულ ცოტა ხნის წინათ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ადამიანის ინსტიტუტიც კი გაიხსნა, რომელსაც მტად სერიოზული ამოცანები აქვს დასახული. და საერთოდ, საბჭოური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ამ ბოლო ხანებში მისი ჰუმანიზაციაა.

თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად აგვიხსნით, რას ნიშნავს მეცნიერების ჰუმანიზაცია.

ზოთა ნადირაშვილი: ჩვენმა საზოგადოებამ მძიმე ცხოვრება გამოიარა. მთელი ამ წარსული წლების მანძილზე ჩამოყალიბდა თითქოსდა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის სპეციფიკური მეცნიერება. იგი პოლიტიკის ერთგვარ დანამატად გადაიქცა, რითაც ბევრი რამ დაკარგა. რას ნიშნავს უფრო კონკრეტულად ეს? მეცნიერებისაგან მოითხოვდნენ წინასწარ ნაგულისხმევ შედეგებს და არა ობიექტური კვლევის ნაყოფს. ამის გამო მეცნიერებამ დაკარგა სიღრმე, ზერელე გახდა, ეს მეტად მტკივნეული პროცესი ორად გაიყო. ერთი მიმართულება ისეთი გახლდათ, ეს-ეს არის რომ მოგახსენეთ; მეორე მხრივ კი იყო ხალხი, იყვნენ მეცნიერები, რომლებისთვისაც მეცნიერების პრინციპები წმიდათაწმიდა იყო, რომლებსაც ნამდვილ მეცნიერებას შეაფარეს თავი და ამის გამო ბევრ ადამიანურ, ამქვეყნიურ სიამეზე უარი თქვეს. ეს თავისებური მსხვერპლი იყო.

კორ. ამასთან დიდი რისკიც, უთუოდ...

შ. ნ. რა თქმა უნდა. სიამოვნებით უნდა ვთქვა, რომ თვით ყველაზე შავბნელი რეაქციის დროსაც კი ადამიანები, იდეალებს ყველა ღირებულებაზე მაღლა რომ აყენებდნენ. ასე იყო ჩვენი მეცნიერების უახლოეს ისტორიაშიც. მაგრამ დავუბრუნდეთ საუბრის თემას.

მეცნიერებაში (მუ, ცხადია, საზოგადოებრივი მეცნიერებების ირგვლივ ვტრიალებ, როგორც ამ დარგის წარმომადგენელი) გაუმართლებელი ორიენტირების შემოღებით გადაფასდა ბევრი ღირებულება, სხვანაირად რომ ვთქვა, მთლიანი სფერო სწორ ხაზს ასცდა. ძირითადი შეცდომა ის იყო, რომ საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა თავისი კვლევის მთავარი ობიექტი — ადამიანი დაკარგეს. ფსიქოლოგიიდანაც კი, — ადამიანის შესახებ მეცნიერებიდან—მოხერხდა ადამიანის გაძევება. ფილოსოფიამ ადამიანი, როგორც კატეგორია, შესასწავლი საგანი უარყო. სამაგიეროდ დამკვიდრდა აბსტრაქტული ცნებები — საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება და სხვ. დიდი პრობლემა — რომელი რომელს განსაზღვრავს? და ასე შემდეგ.

საკითხის ამგვარად დასმით ადამიანს ვერ შევისწავლით. ასე იგი განზე რჩება. მხოლოდ ყოფიერებით ადამიანის საქციელის ახსნა საკითხის გაუმარტოებელი გამარტივებაა, მაშინ, როდესაც ადამიანი სამყაროს ურთულესი ქმნილებაა და ძირისძირობამდე გამოკვლევა სჭირდება. ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, თუ რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, შემოქმედებას, საქმიანობას? იმ გარემოს გარდა, რომელშიც იგი ცხოვრობს, ადამიანის საქციელს განსაზღვრავს ძირითადად ცოდნა, ცხოვრება, მორალი, სულიერი თავისებურებები. გარდა ამისა ადამიანის პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლენას და მათი სამსახურში ჩაყენებას ითვალისწინებს. სხვა ამბავია ვინ როგორ დაინტერესდება ამით.

კორ. დაინტერესება კი კმარა მხოლოდ? მახსოვს, სადღაც ამოვიკითხე, ერთ საწარმოში ფსიქოლოგმა შეძლო ორი თვის მანძილზე მკვეთრად გაეუმჯობესებინა შრომის ნაყოფიერება, მუშებს თანრიგები გაუზარდა. დირექტორმა კი, იმიტომ, რომ ხელფასის ფონდი იმ მუშებისათვის შესაბამისი გაანაწილოს მიცემის საშუალებას არ აძლევდა, მარტივი გამოსავალი იპოვა... ფსიქოლოგი დაითხოვა. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ცხოვრების ყველა უბანი კომპლექსურად უნდა განვთარდეს. მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი წინსვლა. ამ ბოლო ხანს, ღვთის მადლით, პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება, ადგილებზე მეტი დამოუკიდებლობა ეძლევათ ადამიანებს, ისე რომ, თქვენი მიღწევების უფრო ეფექტანად გამოყენების შესაძლებლობა რეალური ხდება. ბოლოს და ბოლოს მთელი დასავლეთის სამყაროს დადებითი გამოცდილება ამ მხრივ ხომ ნათელია.

შ. ნ. ავიღოთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიც არის მართვა. ფსიქოლოგებს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ამ სფეროში. ადამიანთა ურთიერთობის რეგულაციისათვის კონკრეტული მეცნიერული ცოდნაა საჭირო. ჩვენ ხელმძღვანელებს ხშირად ეს ცოდნა კი არ უნდათ მიიღონ ჩვენგან, არამედ იმ მეთოდების დასაბუთება, რომლებსაც ისინი მიმართავენ.

წვრილმან მაგალითებს რომ არ გამოვედეგნოთ, ჯერ ერთ მარტივ, ამასთან ზოგად მაგალითს მოგიყვანთ, მერე კი ამ დღეებში ჩვენთან დატრიალებულ, მე. ვიტყოდი, საუკუნის ტრაგედიაზე ვისაუბროთ ამ ნიშნით.

როდესაც ადამიანს უკვე მიჩვეული და მიღებული პოზიციის კვეთრად საწინააღმდეგო, პოლუსურ პოზიციას სთავაზობენ, მასში უთუოდ ჩნდება უარყოფითი დამოკიდებულება ამ თავსმოხვეული პოზიციის მიმართ, თუგინდ იგი მისთვის სასარგებლოც კი იყოს (ეს — ქვეცნობიერის პლანიდან). ერთი პლატფორმიდან მეორეზე გადანაცვლებას თავისი კანონზომიერება, თავისი გზა აქვს. ეს გზა ეკოლუციური ხასიათისაა.

ადამიანს შედარებით იოლად შეუძლია მიიღოს მისი პოზიციისაგან ცოტა განსხვავებული შეხედულება, მაშინ, როდესაც ძალზე განსხვავებული, პოლუსური შეხედულება ამაზე უფრო შორეულად ეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია. განსხვავებული იდეები, თუ შეიძლება ასე გამოთქვას, გარკვეული დოზებით უნდა მივაწოდოთ ადამიანებს და ასე, თანდათანობით მივიყვანოთ სასურველ პლატფორმამდე.

ახლა ეს ფორმულა ჩვენ გარშემო მიმდინარე გლობალურ პროცესებს მივუყენოთ: წლების მანძილზე გამეფებული დიქტატორიდან უცებ დიამეტრულად საწინააღმდეგო — დემოკრატიულ საწყისებზე უნდა გადავინაცვლოთ. საზოგადოების ერთმა ნაწილმა, რომელსაც ადრე უჭირდა გამეფებულ დოგმებთან შეგუება და შინაგანად სრულიად განსხვავებული პოზიცია ჰქონდა, ახალ ვითარებაში თავისუფლად ამოისუნთქა, მათ თვითგამოხატვის საშუალება მიეცათ; მეორე, სამწუხაროდ, უმეტეს ნაწილს, თუმცაღა სიტყვით შეიძლება აღიაროს კიდევაც დემოკრატიის უპირატესობა, შინაგანად ვერაფერით დაუძლეავია შეჩვეული სტერეოტიპები და იმ ერთხელ და სამუდამოდ შესისხლხორცებული პრინციპების ერთგულნი რჩებიან, რომლითაც ცხოვრობდა აქამდე. მათ ყოველგვარი სიახლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. ისინი ვერაფერში იყენებენ, მაგალითად, უფლებას, იაზროვნონ დამოუკიდებლად და გამოიტანონ თამამი, არაორდინარული დასკვნები. ურჩევიათ ჩვეულებისამებრ გარარ არის. აქ, ამ შუალედში ბევრი მეტ-ნაკლებად განსხვავებული პოზიციაა უამრავი ადამიანით. ზემოთ რომ ვთქვით, მეცნიერება სახით ადამიანისკენ შემობრუნდა-მეთქი, რატომ? იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი უნიკალური მოვლენა, ინდივიდუალია, საკუთარი პლატფორმა, საკუთარი მრწამსი, შეხედულებათა მთელი სისტემა აქვს და აქედან გამომდინარე ირჩევს პოზიციას. განა აუცილებელია ეკუთვნოდე ან ერთ ან მეორე პოლუსს?! თეთრის და შავის გარდა სამყაროში ფერთა მთელი გამა, უამრავი ტონი და ნახევარტონი არსებობს. შემთხვევით ხომ არ დამკვიდრდა ყოველდღიურ ხმარებაში ცნება პლურალიზმი. ჩვენი ხელმძღვანელობის მთავარი შეცდომა ის მგონია, რომ მათ ბევრი თავიანთი პოზიციისაგან ოდნავ, არარსებითად განსხვავებული პოზიციაც მიუღებლად ჩათვალეს და თავისგან განხე გასწიეს. იმთაც, იგრძნეს რა ეს, ქვეცნობიერად უკან დაიწიეს. ყოველმა იძულებით უკან გადადგმულმა ნაბიჯმა ისინი ფაქტობრივად საწინააღმდეგო ბანაკს მიუახლოვა, თუმცაღა ბევრ ძალზე არსებით ფორმულირებაში მათ სრულებით არ ეთანხმებოდნენ (ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ იქიდან მათ განზე არავინ სწევდა, პირიქით). ხელმძღვანელობამ ასეთი ტაქტიკით ფაქტობრივად საკუთარი თავის იზოლაცია მოახდინა, რაც უდიდესი შეცდომა იყო. საჭირო კი იყო ამ დროს ხალხის შუაგულში მოეძებნათ საყრდენი წერტილი, ბლატფორმა, და არა პოლუსზე. არაიდენტურად მოაზროვნე ადამიანები კი არ უნდა შემოეფანტათ, არამედ მათთან ემუშავათ, ურთიერთობის ფორმები ეძებნათ. სწორედ მათი მეშვეობით შეიძლებოდა დიალოგის გამართვა არაფორმალებთან. მაშინ ამგვარ საველალო შედეგამდე არ მივიდოდით.

ახლა, როდესაც შეფასება ეძლევა მომხდარს, ისეთი გრძნობა მრჩება, თითქოს კიდევ ვცოდავთ—დასამალი აღარაფერია, სიმართლე უნდა ითქვას. ილიას ჩატეხილი ხიდის პრობლემამდე ღმერთმა ნუ მიგვიყვანოს — ერთგული მთლიანობა არ დაგვერღვას, მეშინია.

კორ. ორი სიტყვით შეავჯამოთ ნათქვამი: დღეს, ალბათ, განსაკუთრებით საჭიროა ფაქტობრივად მკვდარი, შინაარსდაცლილი ფორმულის — „ყველაფერი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის“ — აღორძინება, ავსება. უნდა ვუსმინოთ მას, ველაპარაკოთ, თუნდ ვეკამათოთ, ოღონდ მოაზროვნე არსებად ჩავთვალოთ და არა ჭანჭიკად. ყველაფერი მისით უნდა ვზომოთ, ვწონოთ და ავწყოთ.

შ. ნ. ცოტა უფრო კონკრეტულად: ადამიანს უნდა დავუბრუნოთ ცხოვრებაშიც, მეცნიერებაშიც დაკარგული პოზიციები. ჩვენი ინტერესების ცენტრში უნდა დადგეს ის. ხელი უნდა შეეუწყოთ მასში ადამიანის არსებითი თავისებურებების — პიროვნულობის, ეროვნულობის, ცხოვრების ხაზრისის შესახებ რწმენის განვითარებას. მხოლოდ ასე გახდება იგი „ყველაზე მთავარი საწყაო“.

სეისმური დარაიონების რუკა შეიცვლება

საღდესის საზრუნავი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში ჩატარდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სეისმოლოგიისა და სეისმომედეგური მშენებლობის საუწყებათაშორისო საბჭოს ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის. ამ ფორუმზე, ერთ-ერთ ადგილზე, ეს-ეს არის ოთხ-ოთხ ბალიანი ზონა ყოფილ ალმასიანი ზონა, ანუ ბალიანობა ერთ-ერთ ადგილზე



გრემი. ფელიქს კრიმსაის („კომუნისტი“) ფოტო.

გორის ციხის ფერისცვალება

გორი. (საკ. კორ.). საზოგადოებრივ საკრებულოსთან, რომელიც ბევრი მაძულებელი საქმის წამომწყებია, შეიქმნა გორის ციხესთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ი. გაგოშიძე.

ამ დღეებში კომისიის წევრებთან ერთად გორის ციხეზე იყვნენ რესპუბლიკის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სპეციალისტები, მეცნიერი მუშაკები, ქალაქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები.

გადაწყდა, რომ გაიხსნება. გორის ციხის წყლის რეზერვუარი, გაიწმინდება ციხის შიგა ტერიტორია, გასუფთავდება ცხრაკარა, მოეწყობა ბილიკები.

მომავალში განზრახულია აქ შეიქმნას გორის ციხე-მუზეუმი.

კონტაქტები

საქართველოს სიყვარულით

● ახლახან საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ინგლისელი მხატვარი ტანტა სელმონი, რომლის ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ტანტა სელმონი ბევრს მოგზაურობს და ნაყოფიერად მუშაობს, როგორც გრაფიკაში, ასევე ფერწერაში. მისი მხატვრული ქმნილებები იმპრესიონისტულ მხატვრობასთან არის ახლოს და ძირითადად ყანრულ-საყოფაცხოვრებო თემაზეა შექმნილი, გადმოცემული უშუალო ემოციითა და განცდით.

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ინგლისელ მხატვარს:

— ქალბატონო ტანტა, თქვენ მეორედ ხართ საქართველოში, თავიდან როგორ მოხვდით აქ?

— მე ვიცოდი, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, რომ საქართველოში სტუმრად იყო მარგარეტ ტეტჩერი, და აი, შარშან როგორღაც მოვახერხე ჩამოსვლა; თბილისის გარდა ვიყავი ბათუმში, თელავში, სადაც ბევრი ნამუშევარი შევასრულე. თბილისში გავიცანი შვეიცარიელი მხატვარი დიანა ნოდია, რომელიც დღეს ჩემი უახლოესი ქართველი მეგობარია და გულითად მასპინძლობას მიწევს.

მიუხედავად იმისა, რომ მე აქ უკვე მეორედ ვარ, ეტყობა, კვლავ მომიწევს ჩამოსვლა, რადგან სრულად მინდა აღვიქვა საქართველო.

— თქვენ ახე თუ ისე გაეცანით ჩვენი მხატვრების ცხოვრებას, როგორ ფიქრობთ, გაქვთ თუ არა ერთნაირი პრობლემები?

— მე ლონდონში ვცხოვრობ და ვმუშაობ, სახელოსნოც იქ მაქვს. ჩემი დრო გაყოფილია ორად: ერთი, როცა ჩემთვის ვმუშაობ შემოქმედებითად, მეორე კი, როცა რომელიმე ფირმისათვის დაკვეთით ვმუშაობ. ვგონებ თქვენთანაც დაახლოებით ასეა. მაგრამ ჩვენ ძალიან გვიკვირს, რომ თქვენს მხატვრებს სახელმწიფო აძლევს სახელოსნოს. როგორი გამოჩენილი მხატვარიც არ უნდა იყო, ჩვენთან ეს წარმოუდგენელია.

— როგორია თქვენი შემოქმედებითი დამოკიდებულება სხვადასხვა თანამედროვე მხატვრულ მიმდინარეობებთან?

— როცა მე ვხატავ, არასდროს არ ვფიქრობ, თუ როგორი მხატვრული გამომსახველობა უნდა გამოვიყენო — რეალისტური თუ ავანგარდისტული, რადგან ამაზე ფიქრი ზღუდავს მხატვრის ემოციას და უარყოფითად მოქმედებს მასზე. ეს ჩანს კიდეც მიხ ნამუშევარში — იგი მშრალი და ხელოვნურია;

— თქვენ აქ ბევრი ნამუშევარი ნახეთ. როგორი აზრის ხართ ქართველი მხატვრების შემოქმედებაზე?

— ქართველი მხატვრები ბედნიერები არიან, რომ ასეთ გარემოცვაში ცხოვრობენ, რადღირს თუნდაც ძველი თბილისის უბანნი... ეს ჩანს კიდეც მათ მხატვრულ ქმნილებებში: ისინი მდიდარია ეროვნული ფორმით, საოცრად კოლორიტული და დინამიურია...

— რას უსურვებდით თქვენს ქართველ კოლეგებს?

— სურვილი ბევრი მაქვს. უპირველესად ვისურვებდი, გადამეხადოს ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელიც მე აქ ვიგრძენი. დასავლეთში საქართველოს მხატვრობა ძალზე აინტერესებთ, ეს კარგად გამოჩნდა ლონდონში, დინარა ნოდიას ნამუშევრების ამასწინანდელ გამოფენაზეც, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. ამიტომ ქართველ მხატვრებს ეუსურვებ კონტაქტების უფრო გაფართოებას, თავისუფალ მიმოსვლას სხვადასხვა ქვეყნებში, რაც ესოდენ საჭიროა მხატვრისათვის...

ჩემი დიდი სურვილია ინგლისში მოვაწყო პერსონალური გამოფენა, რომლის თემაც საქართველო იქნება.

ესაუბრა ხელოვნებათმცოდნე
ია ესვანჯია.

კლუბიც, ბაგა-ბაღიც...

ქედა („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფელ მერიოში საექსპლოატაციოდ გადაეცა კლუბი, რომელიც საქგროორმრეწვის №10 ტრესტის (მმართველი — ოთარ ჩარკვიანი) მუშაკებმა ააშენეს.

პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო ბავშვთა ბაღის შენებლობა. იგი 50 ბავშვისთვის არის გათვალისწინებული.

სოფელ გეგელიძეებში კი შენდება წყალსადენი, რომლის დასრულება საშემოდგომოდ არის გადაწყვეტილი.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ელჭექი, მაღალმთიანეთში ზვავი, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით 7-12, დღისით 18-23, მთაში — ღამით 3-8, დღისით 15-20, მაღალმთიანეთში — ღამით 0,5, დღისით 8-13.

აღმოსავლეთ საქართველოში: ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, ელჭექი, ტემპერატურა — ბარში ღამით 6-11, დღისით 15-20, მთაში — ღამით 2-7, დღისით 10-15, მაღალმთიანეთში — ღამით 0-5, დღისით 5-10 გრადუსი.

თბილისში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა, ტემპერატურა — ღამით 9-11, დღისით 18-23 გრადუსი.

ახალი „ბიბლიოთეკა“

ქართულ „ბიბლიოთეკათა“ სერიებს ახლახან შეემატა კიდევ ერთი — „პარტიული სიტყვის“ „ბიბლიოთეკა“.

ჟურნალმა მკითხველს მიაწოდა ამ „ბიბლიოთეკის“ პირველი წიგნი „ენამ გულისა უნდა თქვას“, რომლის ავტორია ჟურნალისტი ბონდო გულიაშვილი.

ადამიანის, მუშაკაცის სიყვარულით არის დაწერილი ჟურნალისტის ნარკვევები, წერილები, წიგნში შესული მახვილი ფელეტონები.

გიორგაძეზე წარმოსახულია რომაული XXVII — სიმბოლო პარტიული ყრილობისა, რომელმაც ახალი გაქანება მისცა ცხოვრების რევოლუციურ გარდაქმნას.

„მსგავსი კრებული ერთი ჟურნალისტის ავტორობით ადრე არასოდეს გამოგვიცია. ბონდო გულიაშვილი ამ მხრივ პირველია, და, როგორც ვფიქრობთ, სრულიად დამსახურებულადაც“, — წერს ანოტაციაში „წიგნის რედაქტორი. ეჭვი არ არის, მას მკითხველიც მიემხრობა.

რეზო ყარალაშვილი

ქალაქ ვაიმარში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის დროს მოულოდნელად, გარდაიცვალა შესანიშნავი ქართველი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, გერმანელენოვანი მწერლობის მკვლევარი და მთარგმნელი, პროფესორი რეზო გიორგის ძე ყარალაშვილი.

რ. ყარალაშვილი დაიბადა 1940 წლის 5 აგვისტოს თბილისში. 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1983 წელს — სადოქტორო დისერტაცია. 1986 წლიდან გარდაცვალებამდე იყო გერმანული ფილოლოგიის კათედრისა და მის მიერვე დაარსებული „გოეთეს კაბინეტის“ გამგე. კითხულობდა ლექციებს აგრეთვე უცხო ენათა ინსტიტუტში.

რეზო ყარალაშვილი ახზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორია, რომელთაგან ათამდე მონოგრაფია ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოიცა ჩვენში და საზღვარგარეთ. მისი კვლევის ძირითადი სფერო იყო თანამედროვე რომანის პოეტიკა და ჰერმან ჰესეს შემოქმედება. უკანასკნელ წლებში იგი საგანგებოდ იკვლევდა გოეთეს ცხოვრებასა და შემოქმედებას. „გოეთეს კაბინეტი“ ფაქტობრივად ამ კვლევის ერთ-ერთ საერთაშორისო ცენტრად იქცა. მისივე ინიციატივით ჩვენში ყოველწლიურად ინაბეჭდებოდა გოეთეს საერთაშორისო — გერმანისტთა საერთაშორისო — საზოგადოების წელი, გოეთეს საერთაშორისო — საზოგადოების — საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი, ვაიმარის გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების წევრი.

რეზო (ბუბა) ყარალაშვილი იყო გამორჩეული პიროვნება, უზადო მოქალაქე, პატრიოტი, კარგი კოლეგა და მეგობარი, ჭეშმარიტი აღმზრდელი, რომელიც თავისი კრისტალური პატიოსნებითა და პრინციპულობით სამაგალითო იყო ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის. ინტერესთა ფართო წრე, მხატვრობის, ლიტერატურის, პოეზიის ღრმა ცოდნა და სიყვარული, უდიდესი შრომისუნარიანობა მისი მომავალი, კიდევ უფრო დიდი წარმატებების საწინდარი უნდა ყოფილიყო! მისი სახე, საქმე და შემოქმედება ნათელ მოგონებად დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების, სტუდენტების ხსოვნაში.

სახალხო განათლების სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს გოეთეს საზოგადოება.

ექო: „მომავალი პასუხს მოგვთხოვს“

ჩვენი საერთო საქმე

სარედაქციო ფოსტა საზოგადოებრივი აზრის ბარომეტრია. ნიშანდობლივია, რომ „კომუნისტის“ 8 მარტის პუბლიკაციამ („მომავალი პასუხს მოგვთხოვს“), რომელიც რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. უკვე მივიღეთ ათობით გამოხმაურება, მკითხველები გვთავაზობენ საყურადღებო მოსაზრებებს, ამხელენ ადგილებზე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ხელისშემშლელ მიზეზებს, გვთხოვენ ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოვიტანოთ ამ უბანზე არსებული ნაკლოვანებანი.

ამ წერილებს, შეძლებისდაგვარად, პერიოდულად გამოვაქვეყნებთ გაზეთის ფურცლებზე, დღეს კი გთავაზობთ ქუთაისიდან მიღებულ ინტერვიუს. „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს ესაუბრება ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ДАВИТ ЧИРЕТИЛი.

— დამალული ჭირი, მოგეხსენებათ, უფრო სახიფათოა. ჩვენ, სამწუხაროდ, წლების მანძილზე ბევრ რამეზე თვალს ვხუჭავდით და ამან ცუდი სამსახური გაგვიწია. მოჩვენებითი კეთილდღეობის „ვირუსს“ არც ფიზკულტურისა და სპორტისათვის აუვლია გვერდი. არადა, მასობრივი ფიზკულტურა, სპორტი პირდაპირ არის დაკავშირებული მოსახლეობის, მშრომელი ადამიანის ჯანმრთელობასთან, მათს გუნება-განწყობასთან, თუ გნებავთ, ეკონომიკურ აღმავლობასთანაც.

— უნდა ვაღიაროთ, რომ ადრე, ხშირად, სიტყვა და საქმე ერთმანეთს ცალდებოდა, სისტემურობას კამპანიურობა სჯარბობდა. ამ სენისაგან ბოლომდე განვთავისუფლდით-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ გარკვეული ძვრები უთუოდ შეინიშნება. დღეს ქალაქის ხელმძღვანელობა სისტემურად არის დაინტერესებული ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასობრიობით. ბოლო სამი წლის მანძილზე ამ საკითხებს მიეძღვნა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობა არაერთხელ განვიხილეთ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომებზე. ამ მიმართულებით მთელი საქმიანობის გარდაქმნას უნდა მოემსახუროს მეცნიერ-მუშაკთა და წამყვან სპეციალისტთა მიერ შემუშავებული კომპლექსურ-მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქუთაისში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას 1988-2005 წლების მანძილზე. უკვე გადაიდგა პირველი კონკრეტული ნაბიჯები და ვფიქრობთ, საერთო ძალისხმევით, ყველა ორგანიზაციის, საწარმო-დაწესებულებების მონაწილეობით მივაღწევთ სასურველ შედეგს.

საერთო ძალისხმევა შემთხვევით არ მიხსენებია. ფიზკულტურისა და სპორტის პრობლემებია გადაჭრა აღემატება ქალაქის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების შესაძლებლობებს. აუცილებელია თითოეულმა ხელმძღვანელმა იზრუნოს თავის კოლექტივში ფიზკულტურის განვითარების. ყველა საჭირო პირობების შესაქმნელად, საამისოდ დაირაზმოს აქტივი, გაიღოს ხარჯები და ა. შ.

ქუთაისის სპორტული ტრადიციები კარგად არის ცნობილი. სამწუხაროდ, მასობრივი ფიზკულტურის განვითარებაში ასეთივე მაღალი შედეგებით ვერ დავიკვეხნით. არადა, როგორც პრაქტიკამ დაგვარწმუნა, თუ მონდომება იქნება, ამ საქმესაც მოევლება. ერთ მაგალითს მოვიტან: ამ ორი წლის წინათ ცნობილი სპორტსმენების ინიციატივითა და ფიზკულტურული ორგანიზაციების მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყარა მეტად სასარგებლო ღონისძიებას — საცხოვრებელი უნების შეჯიბრებას. მოსახლეობა საგანგებოდ ემზადება და ხალისით მონაწილეობს ასეთ ტურნირებში. მაგრამ ეს, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია. შარშან, მაგალითად, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოწყობილ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 10,5 პროცენტი მონაწილეობდა (უფრო უარესი მაჩვენებლები გვქონდა წინა წლებში), თანაც ფიზკულტურულ მოძრაობაში ნაკლებად არიან ჩაბმული საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები. ამ საქმეს აშკარად აკლია ორგანიზატორის ხელი. საავტომობილო ქარხნის საბინაო სამმართველოს შვიდ საექსპლოატაციო უბანში ფიზკულტურულ მუშაობას ერთადერთი მეთოდისტი უძღვება. არადა, ავტოქარხნის დასახლებაში 23 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მასობრივი ფიზკულტურის დანერგვისათვის ბევრი არაფერი კეთდება ქარხანა „ავანგარდში“, კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებაში, ლითოფონის ქარხანაში, № 4 სამშენებლო ტრესტში და ზოგ სხვა საწარმოში.

— ჩანს პრობლემები საკმაოა, განსაკუთრებით ძირეულ კოლექტივებში. სასურველი ტემპით ვერ ინერგება მშო კომპლექსი, საწარმოო ტანვარჯიში.

— სწორი ბრძანდებით. მასობრივი ფიზკულტურის ეს ფორმები საერთოდ იგნორირებულია, მაგალითად, „საქმიდერინერგომშენის“ საწარმოო კომბინატში, რკინა-ბეტონისა და კონსტრუქციების ქარხანაში, საკონსერვო საწარმოში... ფორმალიზმს ვიწყებით ქალაქის თითქმის ყველა საწარმოში. ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ არის დაკავშირებული ეკონომიკასთან, შრომის ნაყოფიერებასთან. შარშან ავადმყოფობის მიზეზით გაცდა 30 ათასი კაცდღე და ქალაქმა დაახლოებით 4 მილიონი მანეთი ზარალა. საწარმოების ხელმძღვანელები სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის დროს ივიწყებენ სოციალურ საკითხებს, მშრომელთა ადამიანურ მოთხოვნილებებს. ამის გამო კი მათთვის მკაცრად არავის მოუკითხავს.

— ალბათ ცალკე საუბრის თემაა სპორტული ფიზკულტურა და სპორტი...

— სრულიად არ გვაკმაყოფილებს ამჟამინდელი მდგომარეობა. არასაკმარისია მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. ეცდილობთ გარდატეხის შეტანას, მაგრამ არსებითი სასიკეთო ძვრები ჯერ კიდევ არ იგრძნობა. ამ რამდენიმე წლის წინათ ქალაქში აქტიურად დაიწყო მოძრაობა — „არცერთი სკოლამდელი დაწესებულება საჭუმპალაოსა და მარტივი ღია მოედნის გარეშე“. იიგო კიდეც 15-მდე მარტივი ტიპის საჭუმპალაო, მაგრამ ეს იყო და ეს. ქალაქში 60 სკოლამდელი დაწესებულებაა და აუცილებლად გვესახება ყოველი ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობისას გაითვალისწინონ სპორტული დარბაზებიც და დახურული საცურაო აუზებიც, თანაც ისინი ინდივიდუალური პროექტით უნდა შენდებოდეს.

არასახარბიელო მდგომარეობაა საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებშიც. თითქმის ორი წელიწადი გადის, რაც მოქმედება დაიწყო სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებამ საშუალო სკოლებში „ჯანმრთელობის საათის“ შეტოლების შესახებ, ქალაქში კი ამ მიმართულებით ჯერჯერობით ბევრი არაფერი გაკეთებულა. არადა რესპუბლიკაში ამ საქმის ერთ-ერთი პიონერი ჩვენი ქალაქის მე-6 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი. მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს მარტივი ვარჯიშების შესრულებაც არ შეუძლია. ან როგორ მიმდინარეობს ცურვის მასობრივი სწავლება იმ სკოლებში, რომლებსაც საკუთარი საცურაო აუზი აქვთ? ცუდად, ძალიან ცუდად — მოსწავლეთა კონტიგენტის მხოლოდ 40-45 პროცენტმა იცის ცურვა. ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობა გვექნება იქ, სადაც ასეთი აუზები არ არის.

ქალაქის სპორტის მესვეურებისაგან ხშირად გაიგონებთ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ გვყოფნისო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არსებული მოედნებისა და დარბაზების 30-40 პროცენტი დაუტვირთავია. აი, არაორგანიზებულობის ლოგიკური შედეგი. სტატანგარიშში ჩაწერილია, რომ გამაჯანსაღებელ ჯგუფებში ჩაბმულია 16500 კაცი. როცა გადავამოწმეთ, ბევრი ასეთი ჯგუფი ქაღალდზე აღმოჩნდა. 220-ათასიან ქალაქში სულ 13 ფასიანი გამაჯანსაღებელი ჯგუფია შექმნილი 400-მდე წევრით. მსურველი ბევრია, მაგრამ ვერ შევქმენით შესაფერისი პირობები. ბევრ სპორტულ ბაზას არ აქვს ცხელი წყალი, არ ყოფნის სამხაპეები, გასახდელები, აკლია კვალიფიციური მწვრთნელები, ინსტრუქტორ-მეთოდისტები.

— როცა ამდენ პრობლემას შეავლებთ, ბუნებრივად ჩნდება ასეთი კითხვაც: ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს ეძღვნება პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები, საქალაქო საბჭოს სესიები, პარტიის ქალაქკომის ბიუროსა და აღმასკომის სხდომები, მიღებულია დადგენილებები. რატომ ვერ ვაღწევთ სასურველ შედეგს?

— ამას, რა თქმა უნდა, ბევრი მიზეზი აქვს, მთავარი, ალბათ, მაინც საქმისადმი უპასუხისმგებლო, ზერელე დამოკიდებულებაა. მოვიტან ერთ მაგალითს: ქალაქში სპორტის ცალკეულ სახეობათა შემდგომი განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ხელმძღვანელ ამხანაგებს კონკრეტული დავალებანი მისცა, მაგრამ რა გამოვიდა? ამ საქმისათვის ვერ მოიცალა (თუმცა შეხსენებები არ აკლდათ) ბიუროს წინაშე ანგარიშვალდებულმა უმრავლესობამ.

— როცა შეხსენება არ ჭრის, მაშინ, ალბათ, უნდა მოვკითხოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამსახურს — მაღალი რგოლიდან რიგით შემსრულებლამდე — მთელი სიმკაცრით, პარტიული და თანამდებობრივი პასუხისმგებლობით უნდა მოვთხოვოთ. ამ კრიტერიუმით უნდა მივუდგეთ ქალაქის მაღალი არრივითი ორგანოების წევრებსაც, რომლებიც დაძაბული „რეგლამენტის“ მოშველიებით თავს არიდებენ მიზნობრივი დავალებების შესრულებას, პატივს არ სცემენ თავიანთივე ორგანოების გადაწყვეტილებებს.

— გეთანხმებით. ყველამ თავისი წილი საქმე უნდა აკეთოს, პირადი მაგალითი სწორედ ხელმძღვანელებმა უნდა მივცეთ. პერსონალური პასუხისმგებლობისაგან თავს ვერ უნდა იხსნიდეს ვერცერთი — განმკარგულებელი თუ შემსრულებელი. საქმეს მხოლოდ მაშინ დაეტყობა წინსვლა.

ესაუბრა
ვაჟა თევდორაძე.

სატურნირო ორბიტა

● ბადრაკი. ბარსელონაში გრძელდება მსოფლიო თასის გათამაშება. 18 ტურის შემდეგ 9 ქულით კვლავ წინ არის იუგოსლავიელი დიდოსტატი ლუბომირ ლუბოევიჩი. მან მე-13 ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ვიქტორ კორჩნოისთან (შვეიცარია). ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ინგლისელი ნიჯელ შორტი, რომელიც ასევე ყაიმზე შეუთანხმდა რობერტ ჰიუბნერს (გფრ). დაზავდნენ გარი კასპაროვი და რაფაელ ვაგანიანი, მსოფლიო ჩემპიონს 8 ქულა აქვს, მაგრამ 12 პარტია ითამაშა. ჰიუბნერმა 7,5 ქულა მოაგროვა, კორჩნოიმ — 6,5, იუსუპოვმა, ნიკოლიჩმა და სპასკიმ — 6-6, სალოვმა, რიბლიმ და სეირავანმა — 5,5, ილიუკჟანოვმა — 5, ჰიარტარსონმა, ვაგანიანმა და ბელიავსკიმ — 5, სპილმენნმა — 4,5, ნოგეირასმა — 3,5.

● ვოლეიბოლი. ცნობილმა გერმანელმა ველოსიპედისტმა უკე რაბმა გაიმარჯვა სფრანგეთის დიდი საერთაშორისო ტურნირის („სარტე“) მესამე ეტაპში. მან 195-კილომეტრიანი დისტანცია 4:55,54 საათში დაფარა. მიუხედავად ამისა, საერთო ჩათვლაში ლუდოვიკი კვლავ ათეულს მიღმა რჩება. ლიდერობს ფრანგი ტერი ლორენი. ამ შეჯიბრებაში მოყვარულებთან ერთად პროფესიონალებიც ასპარეზობენ.

● ფეხბურთი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა „როტორმა“. ვოლგოგრადელმა ფეხბურთელებმა შინ აჯობეს მოსკოვის „დინამოს“ — 2:0. ფრედ — 2:2 დამთავრდა მოსკოვის „ტორპედოსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მატჩი.

გუშინ თბილისის დინამოელები ვილნიუსში ეთამაშნენ ადგილობრივ „უალგირისს“. შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ორშაბათი

17 აპრილი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 16.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მთაწმინდის მთვარე“. 16.15— საინფორმაციო გამოშვება. 16.25 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.55 — „ათლეტიზმი“. 17.20— ეკონომიკის კურსი. 17.50 — კამერული მუსიკის კონცერტი. 18.10 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 18.40 — „თეატრი და ბავშვები“. 19.30 — გარდაქმნის წახნაგები. „სტუდია „დიალოგი“. თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გზით“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხსოვნის დღე. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნოდარ დუმბაძე“. 21.00 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „26 საუკუნე და...“ (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 22.00 — „ვრემია“. 22.40—გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — „საღამო მშვიდობისა!“

მეორე პროგრამა. 9.35 — სატელევიზიო დადგმა „შვილიშვილები“. 11.05 — ქართული მხატვრული ფილმი „დღეს ღამე უთენებია“. პირველი სერია. 12.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საიდუმლოებათა საიდუმლოება“. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 14.20 — ქართული მხატვრული ფილმი „დღეს ღამე უთენებია“. მეორე სერია.

სამშაბათი

18 აპრილი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მემანქანე ვარ“. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება. 16.25 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნოქალაქევი“. 17.25 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.55 — მოსწავლეთათვის. დემოკრატიის გაკვეთილები. 18.45 — განცხადებები. 18.55 — ახალგაზრდობისათვის. „ეს ყველას საფიქრალია“ (განმეორებით). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის ნახნაგები. 20.50 — სტუდია „დიალოგი“. თვითდაფინანსება და თვითმმართველობის გზით. 21.20 — „გაზაფხული დამდგარიყო“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „მე ვხედავ მზეს“.

მეორე პროგრამა. 9.35 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ათოვდა ზამთრის ბალებს“. I და II სერია. 12.00 — მასწავლებლის საათი. ქართული ლიტერატურა. 12.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყოფა, ყოფა, ყოფა“. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენ ხარ ვენახი“. 15.00 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა.

ოთხშაბათი

19 აპრილი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 16.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სახლი, რომელშიც ვცხოვრობდით, ვცხოვრობთ და ვიცხოვრებთ“. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება. 16.25 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მამისეული ტყე“. 17.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.40 — მოსწავლეთათვის. „მეგობრობის მატარებელი“. 18.20 — „გრძელი დღე“. 19.20 — ხალხური შემოქმედება „ზღვის ნობათი“. 19.45 — დოკუმენტური ფილმი. 20.00 — მოამბე. 20.35 — საუკუნეები და თაობები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი 22.50 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

მეორე პროგრამა. 9.35 — სატელევიზიო დადგმა „პაგანინის გამართლება“. I და II სერია. 11.45 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 12.15 — მულტფილმების პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“ 13.50 — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 14.20 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ“.

ხუთშაბათი

20 აპრილი

პირველი პროგრამა. 13.05 „ნაშუადღევს“. 13.50— ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 16.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „აჭარული ჩანახატები“. 16.10 —საინფორმაციო გამოშვება. 16.20 აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 16.50 — „ათლეტიზმი“. 17.15 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.45 — „ზრუნვა“. 18.55 — „ჩვენი სოფელი“. პლენუმის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში. 19.45— ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის ნახნაგები. „ჯანმრთელობის სადარაჯოზე“. 20.50 — წერილის დღე. 20.55 — ბალეტის მოყვარულთათვის — ჩვენი სტუმრები. 22.00— „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: მინსკის „დინამო“ — თბილისის „დინამო“.

მეორე პროგრამა. — 9.35. — ქართული მხატვრული ფილმი „დიმიტრი II“. I და II სერია. 11.50 — რუსული ენა. 12.35 — მულტფილმების პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 14.20 — ქართული მხატვრული ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“.

პარასკევი

21 აპრილი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამი, ოთხი“. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება. 16.25 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.55 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია. 17.25 — ლაპარაკობს ისტორია. — „ჭეშმარიტება ერთია — სამართალია“. 17.55 — ვ. ი. ლენინის დაბადების 119-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან. შესვენებისას — „მოამბე“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ქართული კინოს ისტორიიდან.

მეორე პროგრამა. 9.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მაიორი ვიხრი“ I და II სერია. 11.55 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 12.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოლინკა“. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მაიორი ვიხრი“ III სერია.

შაბათი

22 აპრილი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — „ათლეტიზმი“. 10.55 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.25 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 11.35 — „ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა“ (განმეორებით). 12.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.15 — საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე (მიმოხილვა). 12.45 — კონცერტი „ღმერთი სიყვარულისა“ (განმეორებით). 13.40 — შეხვედრა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში. 14.25 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.30 — „ჩვენი სამშობლოს ხეობები“ — თერგის ხეობა. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.45 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. 16.30 — კონცერტ